

ნათია ჯალაბაძე

ცენტრალური კავკასიონის ქართველ და მათ მეზობელ ხალხთა ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი რაჭული ფოლკლორული ნიმუშების მიხედვით

ნაშრომში განხილულია ცენტრალური კავკასიონის რაჭის მონაკვეთის მოსახლეობის და მათ მეზობელ ჩრდილოკავკასიელთა ურთიერთობები და ამ კონტექსტში წარმოდგენილია ხალხური ზეპირსიტყვიერების ზოგიერთი ნიმუშის რეინტერპრეტაციის¹ მცდელობა.

ცენტრალური კავკასიონი მოიცავს ტერიტორიას იალბუზსა და მყინვარწვერს შორის; ეს მონაკვეთი საქართველოს მხრიდან ემთხვევა მთის რაჭას, დღეს ოკუპირებული შიდა ქართლის მთიანეთს და ყაზბეგის რაიონის თრუსოს მონაკვეთს, ხოლო რუსეთის მხრიდან, ყაბარდო-ბალყარეთის ნანილსა და ჩრდილოეთ ოსეთს. ოსებთან ერთად, დვალელებსაც მოვიაზრებ, რადგან ისინი რაჭველთა და მოხვევთა მეზობლად დღევანდელი ჩრდილო და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახლობდნენ, ხოლო, ოსების მიერ მათი ასიმილაციის ან განდევნის შედეგად,² დვალეთის ქვეყნის "საზღვარი" თითქმის დღევანდელ საქართველო-რუსეთის საზღვარს ეფარდება.

აღნიშნული რეგიონის ხალხთა ფოლკლორული ნიმუშების კვლევისას, ჩემთვის ამოსავალი მათი სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური თუ კულტურული ურთიერთობის ველი იყო და იმის გარკვევა, თუ როგორ არის ასახული ეს ურთიერთობები მათ პოეზიაში თუ თქმულება-გადმოცემებში, რას წარმოაჩენს ამ მხრივ მათი საგმირო, სატრფიალო, საკულტო და სხვა ხასიათის

¹ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებულ ჩემს ვარაუდებზე კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებაში კოლეგებთან ერთად არაერთხელ ვიმსჯელებ. პირველად ჩემი პოზიცია დღეს საქართველოში დვალეთის საკითხების ცნობილ მკვლევარს — რ. თოფჩიშვილს გავაცანი; მეცნიერებაში დამკვიდრებულ, მისი შეხედულებისაგან განსხვავებულ ჩემს ვარაუდებს წინამდებარე სტატიაში რ. თოფჩიშვილის სურვილით ვაქვეყნებ.

² საკითხთან დაკავშირებით იხ. რ. თოფჩიშვილი, დვალეთი და დვალელები, თბ. 2016

ზეპირსიტყვიერი ნიმუშები. თუმცა, შეზღუდული ფორმატის გამო, სტატიაში მხოლოდ რამდენიმე მათგანს განვიხილავ.

როგორც ცნობილია, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში, პოლიტიკური ან სხვა ვითარებიდან გამომდინარე, სასაზღვრო ზოლში მცხოვრებ საკვლევ ეთნოსებს შორის ურთიერთობების ხასიათი პერიოდულად იცვლებოდა. ჩვენს ისტორიაში მრავლად გვხვდება მათი კეთილმეზობლობის ან მტრობის ამსახველი ნარატივები; საკმარისია თუნდაც XIX საუკუნის მოვლენებს გადავაფლოთ თვალი. ხალხის მეხსიერებაში შემონახული ამბები კი თაობიდან თაობას სხვადასხვა ვარიანტებად და ახალ-ახალი დანამატებით ზეპირსიტყვაობით გადაეცემოდა.

ჩემთვის ხელმისაწვდომი ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და სპეციალური ლიტერატურული მონაცემების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის ცენტრალური მონაკვეთის მთის მოსახლეობის (ჩვენ შემთხვევაში რაჭველთა) ფოლკლორში შედარებით ნაკლებად არის შემონახული მათი და მათი მეზობლების ურთიერთობის ამსახველი პოეზიის თუ ეპოსის ნიმუშები; მით უფრო, თუ მას საგმირო ხასიათის სვანურ, ხევსურულ და თუშურ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს შევადარებთ. ფოლკლორული მასალების ამ დეფიციტს ერთგვარად ავსებს ეთნოგრაფიული მასალა.

ცენტრალური კავკასიონის განსახლების ერთ უბანს – ლები-გლოლას (ზემო რაჭას), ანუ მთის რაჭას, დასავლეთით ესაზღვრება რაჭა-სვანეთის ქედი, ჩრდილო-აღმოსავლეთით — ოსეთი, ყარაჩა და ბალყარეთი. სამხრეთით ქვემო რაჭა-იმერეთი; მთის რაჭა სოლივითაა შეჭრილი და მიბჯენილი კავკასიონის მთავარ ქედს და ჰქმნის რაჭის კავკასიონს. ჩრდილოეთით ის ქანჭახის ან მამისონის, კირტიშოს, ღრჯამის და ნონარის გადასასვლელებით დაკავშირებულია ჩრდილო კავკასიის ველებთან (მაკალათია 1987:13).

როგორც ქართველი მკვლევრები ვარაუდობენ, ჯერ კიდევ “ბინჯაო-ადრერკინის ხანაში მთის რაჭა გარე სამყაროდან

კულტურულად არ იყო მოწყვეტილი და მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ცენტრალური კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდზე მცხოვრებ მოსახლეობასთან. ეს კავშირურთიერთობები კოლხეთის ამ მხარესა და განსაკუთრებით მეზობელ დიგორიის (მდ. ურუხის სათავეები), ბალყარეთსა (მდ. ჩერეკის ზემო წელი) და ისტორიულ დვალეთში (მდ. არდონის სათავეები) მცხოვრებ მოსახლეობას შორის ძირითადად ხორციელდებოდა ცენტრალური კავკასიონის ქედის უღელტეხილებზე გამავალი საკომუნიკაციო გზების მეშვეობით, სადაც ასეთი გადასასვლელი რამდენიმე იყო” (ჯიბლაძე 2020: 63)

როგორც ცნობილია, კულტურა თავად აყალიბებს და არეგულირებს სოციალური ურთიერთობის ისეთ ფორმებს, რაც ამ ჯგუფთა სიცოცხლისუნარიანობისთვის აუცილებელია. ამის მაგალითად, თუნდაც, კავკასიელებში გავრცელებული ძმადნაფიცობის, კერძ-მოკეთეობის და სხვისშვილობის ინსტიტუტები გამოდგება. როგორც დღეს რაჭაში ჩატარებულმა საველე მუშაობამ წარმოაჩინა, ადგილობრივ მოსახლეობას ჯერ კიდევ ახსოვს ამბები იმ უძველესი ტრადიციების შესახებ, რაც მათ მეზობელ ჩრდილოკავკასიელებთან კეთილმეზობლურ კავშირებს აყალიბებდა და ამყარებდა.

გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მთის რაჭა ეკონომიკურად ძირითადად ჩრდილოეთზე იყო დამოკიდებული; როგორც აღნიშნავს ს. მაკალათია, არსებობისათვის ბრძოლა მთის რაჭის მოსახლეობას აიძულებდა ხელი მოეკიდა ხელოსნობისა და ვაჭრობისათვის და გადაეღახა კავკასიონი; რაჭველი მამაკაცები მისდევნენ კალატოზობას და ხუროობას; ისინი სამუშაოდ წლობით გადადიოდნენ ბალყარეთში, ყარაჩაში, ოსეთში, სადაც განთქმული იყვნენ როგორც კარგი ხელოსნები. რაჭველები ეწეოდნენ საქონლით ვაჭრობასაც: ზამთრის მოახლოებისას იალალზე ნასუქ პირუტყვს მოგებით ყიდდნენ, სამაგიეროდ, გაზაფხულზე ამავე ფულით ნაზამთრ საქონელს იაფად ყიდულობდნენ. რაჭველებს აგრეთვე გადმოჰყავდათ

ბალყარეთიდან საქონლის ჯოგები და ონში ვაჭრობდნენ. ამ მხრივ დიდ უნარიანობას განსაკუთრებით ღებელები იჩენენ. ისინი გადადიოდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, ენეოდნენ ფიზიკურ შრომას და შინაური პირუტყვით ვაჭრობას. ამიტომაც, ღებელებმა საკმაოდ კარგად იცოდნენ მათი ენა; ჭირნახულის დაბინავებისთანავე სამუშაოდ თუ სავაჭროდ ჩრდილოეთისაკენ მიეშურებოდნენ, სადაც ზამთრის განმავლობაში მუშაობდნენ და თავსაც ინახავდნენ. გაზაფხულზე კი, ზოგი მათგანი მონაგები ფულით თუ საქონლით, ისევ შინისკენ ბრუნდებოდა. კავკასიონის ყინულოვანი ქედის ფეხით გადალახვა მხოლოდ ერთი დღის საქმე იყო (მაკალათია 1987: 45).

რაჭველები ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან მეგობრულ და ნათესაურ კავშირებსაც ამყარებდნენ. ისინი ერთმანეთს შვილებს აღსაზრდელად უგზავნიდნენ ენისა და ტრადიციების შესწავლის მიზნით, რასაც სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა დაახლოება-დამეგობრების ინტერესი ედო საფუძვლად (რ.თოფჩიშვილი 1986:50-51). კერძოკეთეობის და სხვისშვილობის შესახებ ს. რეხვიაშვილი წერს: „უძველესი დროიდან სცოდნიათ მთის რაჭიდან აღსაზრდელად ჩრდილოკავკასიელ მთიელებში დიგორში, მალყარში და ყარაჩაიში ჩვილი ბავშვების (ვაჟების) გაშვილება ან, როგორც რაჭველები ამბობენ „სხვისშვილად“ გაბარება. სხვისშვილად გაბარების მთავარი მიზანი კერძოკეთეებს შორის საუკუნოვანი ნათესაური კავშირის განმტკიცება და გახანგრძლივება იყო. სხვისშვილი კერძთან 12-14 წლამდე იზრდებოდა, შემდეგ თავის ოჯახში ბრუნდებოდა... მკაცრი ბუნება და იმდროინდელი ცხოვრების სიდუხჭირე, მტრის გამუდმებული თავდასხმის შიში, მომავალი თაობის ყოველმხრივ გაკაყებას მოითხოვდა ... მთავარი ყურადღება ბავშვების ფიზიკურ და ზნეობრივ აღზრდას ექცეოდა. ბავშვის ფიზიკურ წვრთნას კერძი შვიდი წლიდან იწყებდა“. მამა შვილს ნიშნად ფიზიკური წვრთნის დაწყებისა, საქართველოდან საჩუქრად თოფს და ქამარ-ხანჯალს უგზავნიდა. კერძი ბავშვს

ასწავლიდა თოფის სროლას, იარაღის ხმარებას, ჯირითს და ა.შ. სისტემატური ფიზიკური და ზნეობრივი ვარჯიშით ყოველმხრივ განვრთნილი ყმანვილი ბრუნდებოდა შინ, მაგრამ არ ივინყებდა თავის აღმზრდელებს. მათ ოჯახებს შორის ნათესაური კავშირი კიდევ უფრო მტკიცდებოდა. სხვისშვილი დროგამოშვებით გადადიოდა აღმზრდელთან და იქაურ მონადირეებთან ერთად ჩრდილო კავკასიის საჯიხვეებში ნადირობდა. იგი ნადირობის ისეთივე უფლებით სარგებლობდა, როგორც ადგილობრივი მონადირე, მას მთელი აულის მოსახლეობა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდა (რეხვიაშვილი 1984:37).

გარდა იმისა, რომ მთის რაჭველებს მეზობელ მთიელებთან მეგობრულ-ნათესაური და საქმიანი ურთიერთობები აკავშირებდათ, ეს უკანასკნელნი უღელტეხილებზე გადმოდიოდნენ და მათ სოფლებს თავს ესხმოდნენ, ერეკე-ბოდნენ ტყვეებს, ჯოგებს და ნაძარცვ-ნადავლით უკან გარბოდნენ. ეს იწვევდა მტრობას მათ შორის და შურისძიების სურვილს აღძრავდა; იმართებოდა დაუსრუ-ლებელი ლაშქრობა და ერთმანეთისთვის მიხტომ-მოხტომა. ამიტომ მთის რაჭა თავდაცვითი კოშკებით იყო შემოზღუდული, საიდანაც რაჭველი შემოპარულ მტერს ზვერავდა და მუდამ მზად იყო შეტევისთვის (მაკალათია 1987: 35).

ჩემ მიერ ნლების წინ ხევისურებისა და მათი მეზობელი ვაინახების ურთიერ-თობის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფთა ერთმანეთის მეზობლად ცხოვრება განაპირობებს მათ შორის დამოკიდებულების ამბივალენტურ ხასიათს, როგორც მტრულს, ასევე მეგობრულს (ჯალაბაძე 2006: 66). ამგვარი განწყობები ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში ყალიბდება, რომლის სპეციფიკასაც კონკრეტული საზოგადოების მოთხოვნილებები და საჭიროებები განსაზღვრავს. ანალოგიური ვითარება იყო რაჭველებთანაც. მათსა და მეზობელ ჩრდილოკავკასიელებს შორის, როგორც ზემოთაც ითქვა, კეთილმეზობლურს

კონფლიქტური ურთიერთობები ენაცვლებოდა. მაგალითად, თუ ერთი მხრივ, მთის რაჭველებს სიდუხჭირე მეზობლებთან ეკონომიკური კავშირების დამყარებისკენ უბიძგებდა, მეორე მხრივ, იგივე სიდუხჭირე და ნადავლის მოხვეჭის ინტერესი ქართველთა და ჩრდილო-კავკასიელთა ურთიერთთავდასხმების მიზეზი ხდებოდა. რაჭულ ფოლკლორში გარკვეულწილად ასახულია რაჭველთა და მათ მეზობელ არაქართველ ტომთა დაპირისპირება. ამ ხასიათის ფოლკლორულ ნიმუშთა შორის აღსანიშნავია „ომი ღებელებისა დიგორელებთან.“

როგორც ცნობილია, მთის რაჭას ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრობა ჰქონდა დიგორელ ოსებთან; ღებიდან შვიდი ვერსის მანძილზე ტყეში ერთ პატარა შევაკებაზე ვეებერთელა ქვა დევს, რომელსაც „ქვაციხურას“ უწოდებენ. წინათ ეს ადგილი ეკუთვნოდა სამ ძმა ქვაციხისელს. ერთ-ერთი ძმა — ივანე, განთქმული მონადირე და მამაცი ვაჟკაცი ყოფილა. მას ჰყოლია ბედაური, ჭარმაგი, რომლის ლაგამიც, გადმოცემით, ქვაციხურას მახლობლად მდებარე მთავარანგელოზის ეკლესიაში ინახებოდა. ერთხელ ივანე სავაჟკაცოდ დიგორისკენ წასულა. აქ მას ყური მოუკრავს, დიგორელები ღებზე დასაცემად ემზადებიანო და ეს ამბავი ღებელებისთვის შეუტყობინებია. ღებელები მაშინვე შესდგომიან ლაშქრობის სამზადისს; ქვემო რაჭიდან დასახმარებლად ჯაფარიძე და გამყრელიძე მოუწვევიათ. ივანე დიგორელების გადმოსვლას დარაჯობდა და, როდესაც კირტიშოს მთიდან გადმოსული დიგორელები შეუნიშნავს, თავისი ჭარმაგით ღებისაკენ გაფრენილა, ასულა მალლა კოშკში და ღებელებისთვის საბრძოლველად მოუწოდებია. ღებელებს გაუმარჯვიათ (მაკალათია 1987: 35-37). ეს გამარჯვება კი გაულექსებითა და ფეხულებში იმღერება¹:

დიგორსა დასხდნენ ვეზირნი,
რჩეულნი ბადელოვანნი,
არჩიეს, გამოარჩიეს,

¹ ლექსის ეს ვარიანტი, რომელიც უფრო ადრინდელად მიგვაჩნია, ამოღებულია თბილისის ფორუმიდან. ხელმისაწვდომია: <https://forum.ge/?f=95&showtopic=33634183&st=1770>;

"ლები გვყავს საქონლუანი".
 მთანი და მთანი ასწონეს,
 სავალად კირტიშოვანი.
 ქვაციხეს რომ ჩამოვიდნენ,
 გზანი დაუხვდათ წყლიანი;
 წინ ივანე შეეფეთათ,
 გამბედავი, ძალუანი;
 ფიცხლათ შინისკენ გაბრუნდა,
 ვით შევარდენი ფრთიანი,
 ციხისა დუროს შეიჭრა,
 მალლა დაიწყო ხმიანი:
 ვაჟებო, ფრთხილად იყავით,
 საქმეა ლალატიანი.
 მაცხოვარს სიტყვა მივმართოთ
 ჭკუიანი და სვიანი!
 მე მგონი, თქვენცა გენყინოსთ
 თქვენი ლებისა ზიანი!
 დილა გათენდა მზიანი,
 ლაშქარსაც გახდა გრიალი.
 გაელაშქრნენ საომრათა,
 მტერს მისცეს დიდი ზიანი.
*(ქვემოთით ვაჟნი მოვიდენ,
 შეკა ზმულ ჯაფარუანი
 თან ახლდათ გამყრელუანი)!*
 გამყრელიძესა აქებენ,
 რომელს იესე ჰქვიანო,
 კალდამის ხმალი გასტეხა
 სისხლი ყუასა სცხიანო;
 ოსებსა ხოცვა დაუნყეს,
 ჯირკვებივითა ჰყრიანო.

1 ფრჩხილში ჩასმული დახრილი შრიფტით წარმოდგენილი მონაკვეთი ლექსის ამ ვერსიაში არ ფიქსირდება; ის ჩამატებულია სხვა ვერსიიდან, რომელიც დაბეჭდილია წიგნში — ძველი საქართველო, თბ. 1911-1913:114

სამარე ველარ იშოვნეს,
ლორის ნათხარში ჰყრიანო.
გიჯობდა, ჯანხოტის შვილო,
არ ასტეხოდე ლებსაო,
გეჭამოს ოსის ქარჯინა,
გამოდგომოდე თხებსაო;
სწუნობდი ლებურ თოფებსა,
ახლა დახედე მკვდრებსაო.

როგორც ვიცით, ფოლკლორული ნაწარმოების შექმნის ზუსტი პერიოდის დადგენა ფაქტობრივად შეუძლებელია, თუ ის რომელიმე კონკრეტულ ისტორიულ მოვლენასთან ან თავგადასავალთან არ არის დაკავშირებული. ზ. კიკნაძის შეხედულებით: “ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ ამა თუ იმ ხალხური ტექსტის ასაკი, ჩვენ არ შეგვიძლია ტექსტების საფუძველზე ვილაპარაკოთ მრავალ- საუკუნოვან ქართულ ხალხურ შემოქმედებაზე, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მის ხანგრძლივ ტრადიციაზე...” (კიკნაძე 2007: 51).

ზემოხსენებული ლექსის შემთხვევაშიც, ძნელია მისი კონკრეტულ მოვლენასთან დაკავშირება, თუმცაღა ამის მცდელობა არსებობს. ქორეოლოგმა ხ. დამჩიძემ სპეციალური წერილი მიუძღვნა ამ ლექსის ეპოქალური კუთვნილების განსაზღვრას. ისტორიული წყაროებზე დაყრდნობით, მან საფერხულო ნაწარმოების შექმნის საფუძველად გიორგი ერისთავის მიერ ოსთა წინააღმდეგ გადახდილი ბრძოლა მიიჩნია. მკვლევარი ეყრდნობა დავით ბატონიშვილის „ახალ ისტორიაში“ მოტანილ ცნობას, სადაც აღნიშნულია, “მეფემან იმერთამან დავით, მოიყვანა სიძე თვისი რაჭის ერისთავის ძე გიორგი სტანბოლიდამ და მისცა რაჭის ერისთაობაი. მისრული რაჭას, შევიდა ოსების დასაპყრობელად. მისრული ლებს მოიკლა ოსთა მიერ”. ეს მოხდა 1787 წელს. შესაბამისად, ხ. დამჩიძეს ფერხულის შექმნის პერიოდად, მისი გარდაცვალების შემდგომი დროითი ინტერვალი – XVIII საუკუნის მიწურული მიაჩნია. ავტორი ვარაუდობს, რომ

ლექსში ბრძოლის ინიციატორებად დიგორელების გამოყვანა, შესაძლოა მთქმელის ინტერპრეტაცია იყოს (დამჩიძე 2014: 63-72).

მკვლევრის მსჯელობა, რასაც აქ დეტალურად არ ჩაველრმავდები, ყურადსაღებია და არც თუ უსაფუძვლო, მაგრამ, ვფიქრობ, რომ აღნიშნული ფერხულის შექმნის პერიოდის დადგენა მეტ არგუმენტაციას საჭიროებს, მით უფრო, როდესაც ლექსში არ არის პირდაპირი მინიშნება ამა თუ იმ მოვლენასთან კავშირზე და, თანაც, მასში აშკარად იკვეთება სხვადასხვა ეპოქალური პლასტები. ლექსში სრულიად გარკვევით არის ნაჩვენები მოვლენების დინამიკა: დიგორელი უხუცესები გადანყვეტენ, საქონლით მდიდარ ლებს თავს დაესხან, ოსები გადმოდინან კირტიშოს მთაზე, სადაც ივანე ქვაციხისელი შემოხვდებათ, ივანე გაეშურება და ლებელებს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ აუწყებს, ლებელების დასახმარებლად მოდიან ჯაფარიძე და გამყრელიძე, ლებელები შეებრძოლებიან მტერს და ამარცხებენ ოსებს.

არსებობს ამ ლექსის რამდენიმე ვერსია მცირე სახეცვლილებით. ხ. დამჩიძე განიხილავს ფერხულის სვანურ ვარიანტს, სადაც, პერსონაჟები განსხვავებული სახელებით არიან წარმოდგენილი; მაგალითად, ივანე ქვაციხისელის ანალოგს სვანურ ვერსიაში “გოგისა ჰქვიან”, გამყრელიძეს კი სვიეა. ქვემოდან მოსული კაცი, „შეკაზმულ ჯაფაროვანი“ სვანურ ვარიანტშიც გვხვდება.

ჩემი ვარაუდით, ლექსში მოყოლილია მთიელ რაჭველებსა და მათი ჩრდილოელ მეზობლებს შორის მეკობრეობის ამბავი, რაც ძალზე ხშირი იყო გარკვეულ ისტორიულ პერიოდში. ეს ლექსი, რაშიც ასახულია ლებელების დიდებული გამარჯვება ოსებზე, დღემდე რაჭაში ფერხულებში იმღერება, რაც რაჭველებისთვის მის მნიშვნელობაზე მეტყველებს; ანუ, ეს არის საგმირო ამბავი, რითაც რაჭველები თავს იწონებენ.

ლექსის იმ ვარიანტში, რომელიც წინამდებარე სტატია-

შია მოხმობილი, ჩემი ყურადღება მიიქცია „**კალდამის ხმალმა**“ (იგივეა, რაც კალდამის ხმალი), რაც ლექსის სხვა ვარიანტებში ჩანაცვლებულია ქართული ხმლით. **კალდიმი**, სწორი, ან ოდნავ გახრილი, ცალლესული და ცალღარიანი ხმალია, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა კავკასიაში, კერძოდ, საქართველოსა და ჩეჩნეთში. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, გორდასა და კალდამს „ქართველნი ჰყვარობენ.“ სპეციალისტების აზრით, XVII-XVIII საუკუნეებიდან, ტერმინი „კალდიმი“ კავკასიაში ძალზე პოპულარულმა, ე.წ. შაშკამ განდევნა. „კალდიმი“ ხევესურეთმა თითქმის XX საუკუნის დასაწყისამდე შემოინახა, რაც იმას ადასტურებს, რომ „კალდიმი“ „იმდენად ქართული წიალიდან წარმოქმნილი ხმალი იყო, რომ ხევესურებმა, ჩეჩნებისაგან განსხვავებით, ის ადვილად ვერ დაივიწყეს. ერთ-ერთი ვერსიით, ამ ხმლის წარმომავლობა, ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში თითქოსდა კავკასიაში დარჩენილ ჯვაროსნებს უკავშირდება, რაც „კალდამის“ დამლამ – სფეროზე დასმულმა ჯვარმა განაპირობა. ხმლის მეორე მხარეს გამოსახული ე.წ. მგლის დამლა (მგლის სტილიზებული გამოსახულება), სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, გერმანული წარმომავლობისაა. თავდაპირველად, ეს დამლა XIV ს. პასაუელ ხელოსნებს ეკუთვნოდა, ხოლო XVI-XVII საუკუნეებიდან ამ ნიშანს ზოლინგენის ხელოსნები იყენებდნენ. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მგლის დამლა შესაძლოა ევროპიდან შემოსულიყო; იგი პოპულარული გახდა საქართველოში და ასეთი დამლიანი ხმლების დამზადება ჩვენს ქვეყანაშიც დაიწყო. ცნობილია, რომ ქართველი მეთარადეები მხოლოდ ევროპულ პოპულარულ დამლებს იყენებდნენ, ხმლის პირის, ტარისა და ქარქაშის დამზადება კი, ადგილობრივი წესებით საკმაოდ წარმატებულად ხდებოდა (ქაფიანიძე 2010; ორბელიანი 1991, <https://history.mod.gov.ge/>).

თუ ვივარაუდებთ, რომ XVII-XVIII საუკუნეებში ტერმინი **კალდიმი** ჩანაცვლა **შაშკამ**, ხოლო თავად კალდამის ხმალს

(ვგულისხმობ მის დიზაინს) ევროპულიდან ნასესხებად ჩავთვლით, მაშინ ლექსში აღწერილი ამბები, იმ პერიოდის უნდა იყოს, როდესაც კალდემი, როგორც იარაღი, ჯერ კიდევ იხმარებოდა ქართველთა ყოფაში და, შესაბამისად, ტერმინი მათ ლექსიკონში. ლოგიკურია, რომ ლექსში მისი "ქართული ხმლით" ჩანაცვლება მოგვიანებით მომხდარიყო.

რაც შეეხება ვარაუდს, რომ აღნიშნულ საფერხულ ლექსში აღწერილია გიორგი ერისთავის ოსებთან ბრძოლის ამბები, რა დროსაც იგი მოკლეს, ვფიქრობ, რომ თუ ეს ასეა, მაშინ მის პერსონაზე აუცილებლად იქნებოდა მინიშნება, ისევე, როგორც ჯაფარიძისა და გამყრელიძის შემთხვევაში. ფოლკლორი იქმნება კონკრეტული საზოგადოების წიაღში, ფოლკლორულ ნაწარმოებს კი აქვს თავისი ხასიათი და გამიზნულობა, ის ეთნოსის ცნობიერებაში მომხდარი ფაქტისა თუ მოვლენის ასახვა და შეფასებაა; მის გავრცელებას კი დრო სჭირდება. ჩგიორგი რაჭის ერისთავის ოსთა მიერ მოკვლის ამბავზე კი რაჭველებს მართლაც გამოუთქვამთ ლექსი, სადაც აღწერილია მისი ბრძოლის, მოკვლის, ბარაკონში ჩამოსვენების და დატირების ამბები.

შენ გიორგი ერისთავო, ჩაირამა, ჩაირამა,
სიყმანვილით განასაჯო, ჩაირამა, ჩაირამა,
გილალატეს, თვალი დაგწვეს, ჩაირამა ჩაირამა,
ოსეთს ჩადი ქარივითა, ჩაირამა, ჩაირამა,
იქა თვალი აგეხილა, ჩაირამა, ჩაირამა,
თან გამოუდე გზასაო, ჩაირამა, ჩაირამა.
გიორგიმ უთხრა ცხენსაო: ჩაირამა, ჩაირამა,
მარჯვედ დადექი დღესაო, ჩაირამა, ჩაირამა,
ოსის წვერზე რომ შეგიყვან, ჩაირამა, ჩაირამა,
კოდით დაგიდგამ ქერსაო. ჩაირამა, ჩაირამა.
ოსის წვერზე რომ შევიდა, ჩაირამა, ჩაირამა,
ანუ სად იყო ამდონი, ჩაირამა, ჩაირამა,
ანუ სად დაიბადაო, ჩაირამა, ჩაირამა,

შავ ღრუბელივით მოვლიან, ჩაირამა, ჩაირამა;
 ნისლივით შემოგვერტყაო. ჩაირამა, ჩაირამა
 თოფის სროლა მილივითა, ჩაირამა, ჩაირამა.
 გიორგის მოხვდა მუხლსაო, ჩაირამა, ჩაირამა.
 გიორგი ჩამოასვენეს, ჩაირამა, ჩაირამა,
 ბარაკონის სახტარზედა. ჩაირამა, ჩაირამა,
 შეეგება დედა მისი, ჩაირამა, ჩაირამა,
 სამი ასეთი იკივლა, ჩაირამა, ჩაირამა,
 მის სიმალლე მინა განყდა, ჩაირამა, ჩაირამა.
 შეეგება მისი ცოლი, ჩაირამა, ჩაირამა,
 სამი ასეთი იკივლა, ჩაირამა, ჩაირამა,
 ზეცას კარები შეალო, ჩაირამა; ჩაირამა,
 ასნი-დასნია პერანგსა, ჩაირამა, ჩაირამა,
 ოსურებ დაფრანგულია), ჩაირამა, ჩაირამა,
 ულაშს გადუსვა ხელია, ჩაირამა, ჩაირამა.
 გიორგი, რამ შეგიცვალა, ჩაირამა, ჩაირამა,
 შენი სამნუთრო ფერია? ჩაირამა, ჩაირამა,
 აგრე გყოლია მტერია, ჩაირამა, ჩაირამა,
 როგორც შენი გიორგია. ჩაირამა, ჩაირამა
 კუბოში რომ ჩაანვინეს, ჩაირამა, ჩაირამა,
 მისი სასახლე ეგონა, ჩაირამა, ჩაირამა,
 ცივი ქვა თავ ქვეშ დოუდეეს, ჩაირამა, ჩაირამა,
 დორის ბალიში ეგონა, ჩაირამა, ჩაირამა,
 თავზე მინა წააყარეს, ჩაირამა, ჩაირამა,
 მისი საბანი ეგონა, ჩაირამა, ჩაირამა,
 ჭია-ჭუა .დეესია, ჩაირამა, ჩაირამა,
 მისი ცოლ-შვილი ეგონა, ჩაირამა, ჩაირამა,
 გველმა ლოყაზე უკბინა, ჩაირამა, ჩაირამა,
 მისი მარიკე ეგონა, ჩაირამა, ჩაირამა (უმეიკაშვილი 1964:116)

ბ. დამჩიძის მიერ ფერხულის ეპოქალური კუთვნილების განსაზღვრისას მოყვანილი ისტორიული ფაქტები უფრო მეტად ესადაგება რაჭული ფოლკლორის სხვა, ასევე ცნობილ

ნიმუშს, საფერხულო სიმღერას — „მაღლა შემოჯდა“/„მაღლა მთას მოდგა“, რომელიც ფოლკლორისტ ტ. მახაურს საგმირო-საისტორიო ბალადების კატეგორიაში შეჰყავს (მახაური 2003:60). არსებობს ამ ლექსის რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის სვანურიც. აღნიშნული ლექსი, მინანური — რაჭული სამხედრო სიმღერა, დაბეჭდილია 1918 წელს ევგენი დვალის მიერ შედგენილ და გამოცემულ ბროშურაში „მშვენიერი რაჭა.“ ტექსტი ასეთია:

მაღლა მთას მოდგა უცხო ფრინველი
თეთრი ფრთიანი, ბოლონითელი,
სულ მთლად დვალეთი, ფაიქომელი
ჟღელეს ჩამოდგა ოსი და დვალი,
სულ მთლად დვალეთის ომი შეიქნა,
ომი შეიქნა ცისკრისა ჟამსა, გამთენიასა
ქნევა ხმალისა, ძგერა შუბისა;
შუბის ნალენნი ზეცას ცვიოდა, ჩამოცვიოდა.
ხმალი ორპირი სისხლში ცურავდა, გამოსცურავდა.
ჯაფარ გაიქცა, სვეტი წაიქცა
სვეტი ოქროსი, სვეტი ოქროსი.
ჯაფარ, ვერ წახვალ შინა მვიდობით,
ცოლს რას მიუტან ლაშქრულს ამბავსა
ჩვენი რეიქნენ? ჩვენი რეიქნენ?
უკან მოდიან დაჭრილებითა!
ომი გასრულდა, ომი დამთავრდა
რაჭველი ლაშქრის გამარჯვებითა!
(დვალი 1918: 4)

რ. თოფჩიშვილმა გამოთქვა მნიშვნელოვანი მოსაზრება, რომ ამ ხალხურ ლექსში ასახულია დვალეთში შემოჭრილი ოსების ბრძოლა ადგილობრივ დვალეებთან. მისი შეხედულებით: „სამოსახლო ტერიტორიებს დვალეთში ოსები ბრძოლით მოიპოვებენ. ოსები დვალეებთან ბრძოლაში იმარჯვებენ. მრავალი დვალი დაიღუპა. გადარჩენილები კი მამა-პაპათა საცხოვრისიდან გაიქცნენ (და დასახ- ლდნენ შიდა ქართლში, ქვემო ქართლში,

რაჭაში, ზემო იმერეთში). დვალთა ერთ-ერთი ლიდერი ჯაფარი დამარცხდა რა უთანასწორო ბრძოლაში, ის გაიქცა, „ვით კაკაბი“. გაქცეული ჯაფარი, რომელიც დვალებს ანსახიერებს, ოსებმა აკუნეს (თოფჩიშვილი 2016:175). ეს მოსაზრება მიღებული და დამკვიდრებულია მეცნიერებაში.

როდესაც ფოლკლორულ მონაცემებზე დაყრდნობით ცენტრალური კავკასიონის ქართველ და მათ მეზობელ მთიელთა ურთიერთობის კვლევა დავინყე, კონკრეტულად ამ საფერხულო სიმღერის ანალიზისას, გარკვეული შეუსაბამობები გამოიკვეთა, რამაც გადამანყვეტინა ლექსის ხელახალი ინტერპრეტაცია მეცადა. შევეცდები გამოვკვეთო ეს არგუმენტები და განსახილველად ჩემთვის საინტერესო ყველა ვარიანტი გამოვიყენო.

დავინყებ იმით, რომ ლექსში მოვლენები ვითარდება ჟღელეს, დვალეთის ერთ-ერთ ხეობაში; სვანურ ვარიანტში, რომელიც ე. გაბლიანს 1916 წელს პეტროგრადის სამეცნიერო აკადემიის დვალებით სვანეთში მუშაობის დროს სოფელ უშგულში ჩაუნერია, „ჟღელეს ჩამოდგას“ მაგივრად გვაქვს „ღელას ჩამოდგა“, ხოლო ლექსს ჰქვია სვანეთის ლაშქარი. რა თქმა უნდა ღელა ჟღელეა; სვანურ ვარიანტში ოსებს და დვალებს ებრძვის სვანეთის ლაშქარი. რაჭულ ვარიანტში მოხსენიებული ჯაფარი სვანურში გიერგილია — „გიერგილ ნაიქცა სვეტილ ოქრეში.“ სიუჟეტური ქარგა რაჭულის ანალოგიურია.

ლექსის ერთ ვარიანტში ბნკარი: „ჯაფარ გაიქცა, ოსი მოსდევდაო“, პ. უმიკაშვილის კრებულში არსებულ ვერსიაში მოცემულია, როგორც „ჯაფარ გაიქცა, დვალი მოსდევდაო.“ ქვემოთ მოვიტან ლექსის ამ ვარიანტ ერთ ნაწილს:

.....ჟღელეს ჩამოვდა

ოსი და დვალი

ფაიქოშვილი.

ომი შეიქნა,

ქალაქის კარსა,

გათენებიანსა
ცისკრისა ჟამსა,
ომი შეიქნა
ქნევა ხმალისა,
ძგერა შუბისა;
შუბის ნალენი
ზეცას ცვიოდა,
მესამეს დღესა
ჩამოსცვიოდა.

ჯაფარ გაიქცა,

დეალი მოსდევდაო,

ჯაფარ, ვერ ნახვალ შინა მშვიდობით,

ცოლს ვერ მიუტან

ლაშკრულ ამბავსაო,

ნითელ კაბასაო.

ჯაფარ ნაიქცა,

სვეტი ოქროსი.

..... (უმიკაშვილი 1964: 116)

საინტერესოა ასევე უმიკაშვილისავე კრებულის შენიშვნებში მითითებული იგივე ლექსი, რომელიც იხსენიება სათაურით: „**ჯაფარა რომ ჩახტომიათ დვალელებსა**“. ამ ლექსშიც ჯაფარს დვალი მისდევს... ჯაფარ გაიქცა, ეით რომ კაკაბი, დვალი მოსდევდა, ვით რომ არნიეი... (უმიკაშვილი 1964: 354).

როგორც ცნობილია, მთა რაჭა „ნარსულში დასავლეთ საქართველოს მთიულეთად იწოდებოდა, რომელიც დაახლოვებით VIII ს-ის დასასრულიდან [გობეჯიშვილი 2017: 44], XV-XVI-ის მიჯნამდე სვანებს ეკუთვნოდა [ინგოროყვა 1941: 32-33; ბერძენიშვილი 1966: 24; მუსხელიშვილი 1980: 147; გობეჯიშვილი 2000: 39]. მთის რაჭაში შემავალი სოფლები: ბრილი, ზედქალაქი (ღებისა და გლოლას ცენტრალური უბნები, ზედქალაქის სახელს ატარებდენ) [თოფჩიშვილი 2016: 118], თევრემო, ღები, შოდა, ჩუემო, ჭიორა, ბუბა (ნასოფლარი კურორტ შოვთან, მდ.

ქანჭახის ხეობა), გლოლა თავისი ეკლესიებითა და თავდაცვითი ნაგებობებით [ბერძენიშვილი 1966: 24; ბერაძე 1975: 139,143] სვანებმა სისხლის საფასურში გადასცეს რაჭის ფეოდალებს ჯაფარიძეებს, რაც დოკუმენტურად აისახა იმერეთის მეფის ალექსანდრეს მიერ 1503 წ. მიღებულ სიგელში (წიგნში): „სასისხლო საქმე ბარს ზემო სვანეთსა და თავად ჯაფარიძეთა შორის“ (ჯიბლაძე 2020:62).

შესაძლოა, განსახილველ საფერხულ ლექსში დალექილი იყოს იმ პერიოდის ამბები, როდესაც რაჭველებამდე ეს მთიანი მხარე სვანების განკარგულებაში იყო და შესაბამისად დვალები და ოსები მათი მეზობლები იყვნენ; თუმცა, ფოლკლორული სიუჟეტის ნასესხობა მეზობელ ხალხებში ჩვეულებრივი მოვლენაა და ამ ლექსში, თუნდაც ის ხსენებული დროიდან მომდინარეობდეს, შემდგომი პერიოდის დანაშრევები აშკარად შესამჩნევია.

ზემოთ მოტანილი ლექსის ფინალში ხაზგასმულია, რომ რაჭველთა ლაშქარმა გაიმარჯვა; ანუ, ომი იყო არა დვალებსა და ოსებს შორის, არამედ რაჭველებსა და მათ შორის. სოციალურ ქსელში არსებობს ფეისბუქ ჯგუფი „რაჭა და რაჭველები“, სადაც ხანდახან იდება ხოლმე რაჭული ფოლკლორის ნიმუშები, ხოლო ფეისბუქ მომხმარებლები თავიანთ აზრებს აზიარებენ. ამ ჯგუფში მოძიებული ინფორმაციით ეს ლექსი გლოლელებისა და დვალების ომზეა შექმნილი. გეოგრაფიულადაც გლოლიდან ჟღელე უფრო ადვილად მისადგომია: ჟღელესწვევის ვახუშტისეული აღწერილობით: „ხოლო ამ კასრის კარს ზევით მოერთვის, ქუემო ზრამაგას, ჟღელის წვობის წყალი დასავლეთიდამ. გამოსდის კედელის კავკასს, მოდის სამწრიდამ ჩდილოთ. ამ წყალს მოერთვიან აღმოსავლიდამ და დასავლეთიდამ ჴევნი მცირენი. და ჟღელესა და გლოლას შორისს კავკასზედ ამ ჴევებიდამ გარდავლენან გზანი გლოლას“ (ვახუშტი 1973: 645).

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სისხლის საფასურად სვანებისაგან ჯაფარიძეებს მფლობელობაში გადაეცათ სვანეთის

მთიულეთი, ანუ დღევანდელი მთა რაჭა, ლები, ჭიორა, გლოლა, ციხეები, ეკლესიები, აზნაურთა და გლეხთა გარკვეული რაოდენობა და ა.შ. გლოლელების/რაჭველების ბრძოლაში დვალეებისა და ოსების წინააღმდეგ, უპირველესად ჯაფარიძეები იბრძოლებდნენ და ლექსში ნათქვამი ოსთა/დვალთა მიერ ვინმე ჯაფარის მოკვლის ამბავი რეალურად მოხდებოდა.

ლექსში ნახსენებია ფაიქომელი (ფაიქოშვილი); ფაიქომი ოსეთის ერთ-ერთი პროვინციაა, რომელიც ესაზღვრება დვალეებს; მაგრამ ტექსტში ოსი და დვალი ერთმანეთს კი არ უპირისპირდებიან, არამედ ეს არის ომი, სადაც დვალიც და ოსიც სხვას, მათგან განსხვავებულს ებრძვის. ჯაფარი არის იმ „სხვათა“ წარმომადგენელი, რომლის ეპითეტიც არის სვეტი ოქროსი: მართალია, მას ოსმა/დვალმა მოუხსნარაფა სიცოცხლე, და ის ცოლს ლაშქრულ ამბავს ვერ მიუტანს, მაგრამ ის მაინც გმირია.

ლოგიკურად, ამ ლექსს არც ოსი და არც დვალი არ შექმნიდა. ეს არის აღწერა იმ პერიოდის მოვლენებისა, როდესაც დვალი ჯერ კიდევ არ გამქრალა საქართველოს ეთნოგრაფიული რუკიდან. დვალეებთან და ოსებთან ბრძოლისა და ურთიერთთავდასხმების ამბები იმერეთის სამეფოში იშვიათი არ ყოფილა.

ძალზე საყურადღებოა, რომ აღნიშნულ საფერხულო სიმღერის ჩემთვის ხელმისაწვდომ არც ერთ ვარიანტში, არ იმღერება ფინალური ნაწილი, ჯაფარის გაქცევისა და ოსის (დვალის) მიერ მისი მოკვლევის ფრაგმენტი. ეს სიმღერა სადაც რეალისტურად არის აღწერილი გამარჯვებულთა ბრძოლის ეპიზოდები, მთავრდება ჯაფარის გაქცევის ფრაგმენტამდე. შესაძლოა, ბოლო ნაწილი მასზე მერე იყოს დამატებული. უნებლიედ იბადება კითხვა, რატომ უნდა შეექმნა რაჭველს (თუნდაც სვანს) ისეთი პათოსით გაჟღენთილი საგმირო ბალადა და დანვრილებით აღწერა ბრძოლის დეტალები, თუ ის მას არ შეეხებოდა და მხოლოდ დვალეებისა და ოსების ბრძოლა

იქნებოდა? რატომ არ არის თავად ოსურ ფოლკლორში აღბეჭდილი დვალეებთან მათი ბრძოლის ამბები? რატომ რჩება ის დღემდე რაჭველთა რელიგიურ რიტუალურ საფერხულო სიმღერად? ჩემ მიერ გამოთქმული მოსაზრება, არის მხოლოდ ვარაუდი, რაც მეტ არგუმენტებს და კვლევას საჭიროებს.

წარმოდგენილ ნაშრომში შევეცადე შეძლებისდაგვარად წარმომეჩინა ხალხურ გადმოცემებში არსებული მონაცემები საქართველოს ცენტრალური სასაზღვრო ზოლის და მათ მეზობელ ეთნოსთა ურთიერთობის შესახებ, მეჩვენებინა მათი ურთიერთდამოკიდებულება. ხალხური გადმოცემები ამ ხალხებს შორის არსებული, ისტორიული, კულტურული და სოციალური ურთიერთობების გამოდახილია; განხილულ ფოლკლორული ნიმუშებში აშკარად ჩანს რამოდენიმე ეპოქალური პლასტი, რაც მათი ინტერპრეტაციისა თუ რეინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა

ბატონიშვილი დავითი 1905: - ბატონიშვილი დავითი „მასალები საქართველოს ისტორიისთვის“ შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა (1744 — 1840), ტფ. 1905
დამჩიძე 2014 — დამჩიძე ხ. რაჭული ფერხულის „დიგორსა დასხდნენ ვეზირნი“, იგივე – „დიგორი და ბასიანის“ ტოპონიმური და ეპოქალური კუთვნილების საკითხის შესახებ, კრებულში: სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი №3 (60), თბ. 2014

გაბლიანი 1925 — გაბლიანი ე. ძველი და ახალი სვანეთი, ტფილისი 1925 ელექტრონული ვერსია: <https://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/svan/gabliani/gablit.htm>

დვალი 1918 — დვალი ე. მშვენიერი რაჭა, თბ. 1918

ვახუშტი ბატონიშვილი 1973 — ვახუშტი ბატონიშვილი. ქართლის ცხოვრება, აღწერა სამეფოსა საქართველოსა - ტომი IV, თბ. 1973

თოფჩიშვილი 1986 — თოფჩიშვილი რ. ქართველთა ეთნიკური

ისტორია და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ.1986

თოფჩიშვილი 2016 — თოფჩიშვილი რ. დვალეთი და დვალეები, თბ. 2016

კიკნაძე 2007 — კიკნაძე ზ. ქართული ფოლკლორი, თბ. 2007

მაკალათია 1987 — მაკალათია ს. მთია რაჭა, თბ. 1987

მახაური 2003 — მახაური ტ. 2003 ქართული ხალხური საგმირო ბალადა, თბ. 2003

რეხვიაშვილი 1984 — რეხვიაშვილი ს. რაჭის ქალებსა და ჭიუხებში, თბ.1984

სულხან-საბა 1991 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ. 1991

უმიკაშვილი 1964 — უმიკაშვილი პ., ხალხური სიტყვიერება, ტ. II თბ. 1964

ქაფიანიძე 2010 — ქაფიანიძე მ., ქართული ხმლების ტიპოლოგიისათვის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, N 1, 2010

ძველი საქართველო 1913 — ძველი საქართველო, II ტომი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტფილისი 1913.

ჯალაბაძე 2006 — ჯალაბაძე ნ., ქართულ-ვაინახური ურთიერთობის დინამიკა, ჩეჩნური ფენომენი ქართულ სინამდვილეში, თბ. 2006

ჯიბლაძე 2020 — ჯიბლაძე ლ., ცენტრალური კავკასიონის გადასასვლელები (რაჭა, ბალყარეთი, დვალეთი), ჟურნ. ამირანი XXXIII. თბ.2020

Natia Jalabadze

Some Aspects of the Relationship between Georgians of the Central Caucasus and their Neighboring Peoples (According to Folklore Data)

The article deals with the relationship of the population of the

Racha section of the Central Caucasus with the neighboring North Caucasians and attempts to reinterpret some folklore samples in this context. I have tried to analyze some popular folk poems that echo the historical, cultural and social relations between Rachans, Ossetians and Dvals; and show their mutual relationship.

Due to its geographical location, the mountainous Racha was economically dependent mainly on the north; the struggle for existence forced the inhabitants of the region to engage in crafts and trade and cross the Caucasus.

Rachans also established friendly and family ties with the highlanders of the North Caucasus. They sent their children to each other to raise them in order to learn the language and traditions, which was based on an interest in rapprochement and friendship between different ethnic groups.

The Rachan folklore reflects rivalry between the locals and their neighboring non-Georgian tribes to some extent.

In the considered folklore samples, several epochal layers are clearly visible; the paper proposes reinterpretation of some established opinion about several historical events.